<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„საქართველოს საზღვაო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. საქართველოს საზღვაო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, №25-26, 14 ივნისი, 1997, გვ. 10) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9

სააგენტო:

ა) საქართველოს სახელით ახორციელებს დროშის სახელმწიფო კონტროლსა და ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლს, ასევე სანავსადგურე ერთეულების სახელმწიფო კონტროლს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და გამოსცემს სამართლებრივ აქტებს;

ბ) ქმნის მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების ერთიან სისტემას;

გ) ხელმძღვანელობს საზღვაო სამაშველო-საკოორდინაციო ცენტრს და ახორციელებს ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისა და ზღვის დაბინძურების ლიკვიდაციის ორგანიზების სახელმწიფო ზედამხედველობას;

დ) ახორციელებს ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ სხვა უფლება-მოვალეობებს.“

2. მე-11 მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში, სანავსადგურე ერთეულსა და სანაპირო ზოლში სანავიგაციო მოწყობილობებისა და საშულებების განთავსება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ უფლებამოსილ ორგანოსთან - საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურთან შეთანხმებით.“

3. მე-15 მუხლის:

ა) „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ[1]“ პუნქტი:

„ბ[1]) კოდექსის მიზნებისთვის „სანავსადგურე ერთეული“ - საქართველოს ნავსადგურების ტერიტორიაზე მდებარე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი ფორმით შექმნილი დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც გააჩნია ჰიდროტექნიკური ნაგებობები, სატვირთო ოპერაციებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა და შესაბამისი ტერიტორია, რომელსაც გამოყოფილი აქვს შესაბამისი სტატუსის მქონე საზღვაო აკვატორია. ორ ან მეტ სანავსადგურე ერთეულს, შესაძლოა

გამოყოფილი ჰქონდეს საერთო აკვატორია ან აკვატორიის ნაწილი. ამ ტერმინში არ მოიაზრება სამხედრო დანიშნულების სანავსადგურე ინფრასტრუქტურა.“

გ) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) VI თავში – „სალოცმანო სამსახური“ – იგულისხმება იმ სანაოსნო ურთიერთობის განმახორციელებელი სამსახური, რომელიც არსებობს საზღვაო ლოცმანების მიერ ნავსადგურების მისასვლელებთან, სანავსადგურე ერთეულების შიგა წყლებში და ნავსადგურებს შორის გემების გაცილებისას;“

4. 70-ე მუხლის:

ა) პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საზღვაო ნავსადგური არის სანავსადგურე ინფრასტრუქტურის ერთობლიობა, რომელიც განლაგებულია განსაზღვრულ გეოგრაფიულ ლოკაციაზე და რომლის ფარგლებშიც შესაძლოა მდებარეობდეს ერთი ან მეტი სანავსადგურე ერთეული.

2. სანავსადგურე ერთეულის ტერიტორია მოიცავს მისთვის გამოყოფილ სახმელეთო ტერიტორიას, ხოლო აკვატორია მოიცავს მისთვის გამოყოფილ ზღვის სივრცეს.

3. სანავსადგურე ერთეული უზრუნველყოფს სანავსადგურე ერთეულის ტერიტორიისა და აკვატორიის მზადყოფნას უსაფრთხო ნაოსნობისათვის.“

ბ) მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. სანავსადგურე ერთეულის ტერიტორიისა და აკვატორიის ფარგლებში ხორციელდება შემოსული გემების დატვირთვა-გადმოტვირთვა, მომსახურება, ტვირთის სატრანსპორტო-საექსპედიტორო, ტვირთის შენახვის, დაგროვების, შეფუთვის, საწყობში განთავსების ოპერაციები, ერთი სახეობის ტრანსპორტიდან მეორე სახეობის ტრანსპორტზე ტვირთის გადატვირთვა, აგრეთვე მგზავრთა მომსახურების, ტვირთის, ბარგისა და ფოსტის გადაზიდვის ოპერაციები, გემების საწვავით მომარაგება, ტექნიკური მომსახურება, შეკეთება და სხვა.“

5. 71-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 71

1. სანავსადგურე ერთეული ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საქმიანობისათვის გამოუყოფს სანავსადგურე ერთეულის ტერიტორიის, ნავმისადგომის ან აკვატორიის ცალკეულ უბანს, ასევე დანადგარებსა და მოწყობილობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სანავსადგურე ერთეული სახელმწიფო საბაჟო, სასაზღვრო-მიგრაციულ, სანიტარიულ სამსახურებს, აგრეთვე სააგენტოს შესაბამის სამსახურებს უსასყიდლოდ უზრუნველყოფს სათანადო ფართობით და უქმნის ნორმალური მუშაობის პირობებს.

3. სანავსადგურე ერთეულს არა აქვს უფლება, ხელი შეუშალოს ნავსადგურის ტერიტორიაზე საწარმოსა და ორგანიზაციის საქმიანობას, ჩაერიოს მათ სამეურნეო მუშაობაში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. სანავსადგურე ერთეულის ტერიტორიაზე განთავსებული საწარმო და ორგანიზაცია ვალდებული არიან დაიცვან ნავსადგურის წესები.“

6. დაემატოს შემდეგი შინაარსის 74[1] მუხლი:

„მუხლი 74[1].

1. საქართველოს ნავსადგურში მოქმედ სანავსადგურე ერთეულებს გააჩნიათ თანაბარი უფლებები და წვდომა საერთო შესასვლელ არხზე ან/და შესასვლელი არხის საერთო ნაწილზე.

2. არც ერთ სანავსადგურე ერთეულს არ აქვს უფლება დააწესოს შესასვლელი არხით სარგებლობის საზღაური ან სხვა რაიმე სანავსადგურე საფასური ან/და საზღაური, სხვა სანავსადგურე ერთეულში შემსვლელი და გამსვლელი გემებისათვის.

3. საერთო შესასვლელ არხში ან/და შესასვლელი არხის საერთო ნაწილში საპროექტო სიღრმეების შენარჩუნებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ სანავსადგურე ერთეულებს.

4. საერთო შესასვლელი არხის ან/და შესასვლელი არხის საერთო ნაწილის ფსკერდაღრმავებითი სამუშაოების ხარჯი უნდა განაწილდეს სანავსადგურე ერთეულებს შორის, თითოეულ სანავსადგურე ერთეულში, ამ მუხლის მე - 5 ნაწილში აღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრულ საანგარიშო პერიოდში შესული გემების წყალწყვის ჯამური მაჩვენებლის პროპორციულად. ხარჯის განაწილების გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება სამხედრო და სახელმწიფო ან სხვა არაკომერციული დანიშნულების გემები, არასატვირთო ოპერაციებისთვის განკუთვნილი გემები, მათ შორის ნავსადგურის ფლოტი და ფსკერდაღრმავებითი სამუშაოებისათვის განკუთვნილი გემები.

5. საერთო შესასვლელი არხის ან/და შესასვლელი არხის საერთო ნაწილის დარღმავებას და მოვლა-პატრონობას სანავსადგურე ერთეულები ახორციელებენ მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს საქართველოს საზღვაო კოდექსისა და ამ მუხლის მე - 8 ნაწილში აღნიშნული მთავრობის ნორმატიული აქტით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით.

6. სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს არხის დაღრმავების სამუშაოები და უზრუნველყოს არხის სიღრმეების შენარჩუნება, ამ მუხლის მე - 8 ნაწილში აღნიშნული ნორმატიული აქტით განსაზღვრულ შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში ნავსადგურის შესასვლელი არხის გამოყენების საფასური განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის შესაბამისი ნორმატიული აქტით. ასეთ შემთხვევაში სააგენტო არ არის პასუხისმგებელი სანავსადგურე ერთეულების საკუთრებაში ან/და მფლობელობაში არსებულ ინფრასტრუქტურაზე გაწეულ ნებისმიერ ხარჯზე.

7. ამ მუხლის მე - 6 ნაწილით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას, სააგენტო ახორციელებს დამოუკიდებლად ან მესამე პირის მეშვეობით, ამასთან, სააგენტოს არ აქვს უფლება აღნიშნული ფუნქციის განხორციელება გადასცეს სანავსადგურე ერთეულს ან მის ურთიერთდამოკიდებულ პირს.

8. საქართველოს მთავრობა, ნორმატიული აქტის საფუძველზე განსაზღვრავს ნავსადგურის შესასვლელი არხით სარგებლობის წესს.“

7. 76-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 76.

1. სანავსადგურე ერთეული ნაოსნობის უსაფრთხოებისა და სანავსადგურე ერთეულში მომსახურების დადგენილ ნორმებთან და წესებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით პასუხისმგებელია:

ა) ნავმისადგომებთან გემების უსაფრთხო დგომის პირობებისთვის;

ბ) ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა გამართულობაზე;

გ) სანავსადგურე ერთეულის მფლობელობაში არსებულ კავშირგაბმულობისა და ელექტრორადიოსანავიგაციო საშუალებათა გამართულობაზე;

დ) სანავსადგურე ერთეულის საკუთრებაში არსებული სანავიგაციო ნიშნების გამართულობაზე;

ე) საპროექტო სიღრმეების შენარჩუნებაზე;

ვ) ნავსადგურის წესების დაცვაზე;

ზ) სანავსადგურე ერთეულის აკვატორიისა და ტერიტორიის ფარგლებში სისუფთავისა და გარემოს დაცვის მოთხოვნათა შესრულებაზე;

თ) გემიდან ნავთობშემცველი მასების მიღებაზე;

ი) გემიდან ფეკალური მასების, ნაგვის, ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის მავნე სხვა ნივთიერებების მიღებასა და უტილიზაციაზე;

კ) კატასტროფის შედეგად უბედურებაში ჩავარდნილი ადამიანებისათვის შესაბამისი პირველადი დახმარების აღმოჩენაზე;

ლ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სააგენტოს და საზღვაო სამაშველო-საკოორდინაციო ცენტრის მითითებების შესრულებაზე ზღვაზე საძიებო-სამაშველო ოპერაციების და ნავთობისა და მავნე ნივთიერებების ავარიული დაღვრის ლიკვიდაციის დროს.

2. სანავსადგურე ერთეული ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ საქმიანობებს ახორციელებს ამ კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და სააგენტოს მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისად.“

8. 77-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სანავსადგურე ერთეული ფუნქციონირებს ნავსადგურის წესების შესაბამისად, რომლებსაც ამტკიცებს სააგენტო. სანავსადგურე ერთეული თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს ნავსადგურის წესების შემუშავებაში.

2. სანავსადგურე ერთეულის ფარგლებში ნავსადგურის ოპერატორი პასუხისმგებელია ტვირთზე მისი მიღების მომენტიდან მიმღებისათვის, სხვა უფლებამოსილი პირის ან გადამზიდველისათვის გადაცემამდე.“

9. 78-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სანავსადგურე ერთეულში გემების სააგენტო, სტივიდორული, სურვეირული და სატრანსპორტო - საექსპედიციო მომსახურებები ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული მომსახურებების გამწევი კომპანიები ვალდებულია არიან საქმიანობის განხორციელების დაწყებამდე წარუდგინონ სააგენტოს სარეგისტრაციო და საკონტაქტო ინფორმაცია.”

10. 80-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 80.

1. საზღვაო ნავსადგურის აკვატორიაში უსაფრთხო ნაოსნობის განხორციელებაზე პასუხისმგებელია სანავსადგურე ერთეული.

2. სანავსადგურე ერთეული უსაფრთხო ნაოსნობისა და სანავსადგურე ერთეულში წესრიგის დაცვის მიზნით ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს სალოცმანო სამსახურის მიერ სალოცმანო ოპერაციების უსაფრთხოდ განსახორციელებლად შესაბამისი პირობების შექმნა ამ კოდექსის 87-ე მუხლის შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს სააგენტოს მიერ დამტკიცებული სანავსადგურე ერთეულის პასუხისმგებლობის ზონაში ჩაძირული ქონების ამოღების სამუშაოების ჩატარების გეგმის შესაბამისად სათანადო ღონისძიებების განხორციელება;

გ) უზრუნველყოს სანავსადგურე ერთეულის პასუხისმგებლობის ზონაში საფრთხეში მყოფი ადამიანებისა და გემის გადასარჩენად საძიებო-სამაშველო ოპერაციების, აგრეთვე ნავთობისა და მავნე ნივთიერებების ავარიული დაღვრის სალიკვიდაციო სამუშაოების ჩასატარებლად სააგენტოს მიერ დამტკიცებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით სანავსადგურე ერთეულში ყველა რესურსის მობილიზება;

დ) უზრუნველყოს სანავსადგურე ერთეულში სახიფათო ტვირთის შენახვისა და სატვირთო ოპერაციების დადგენილი წესით განხორციელება.

3. სანავსადგურე ერთეული ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისას ვალდებულია დაიცვას საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, ამ კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, დადგენილი ტექნიკური რეგლამენტების, ნავსადგურის წესებისა და სათანადო შემთხვევებისათვის სააგენტოს წერილობითი მოთხოვნები.“

11. 83-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სანავსადგურე ერთეულში მდგომი ყოველი გემის (გარდა სხვა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული გემისა, რომელიც გამოიყენება არაკომერციული მიზნებისათვის) კაპიტანი და სანავსადგურე ერთეულის ტერიტორიაზე მყოფი პირები ვალდებული არიან, სააგენტოს დავალების შესაბამისად, სანავსადგურე ერთეულს მოთხოვნისთანავე გადასცენ მათი კუთვნილი მცურავი ობიექტები ან სხვა ტექნიკური საშუალებანი საფრთხეში

ჩავარდნილი ადამიანების ან გემის გადასარჩენად, აგრეთვე ზღვის დაბინძურების სალიკვიდაციოდ.

2. სააგენტოს და სანავსადგურე ერთეულის მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ნავსადგურში წესრიგის დასაცავად დადგენილი მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა სანავსადგურე ერთეულში მყოფი ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისა და გემის კაპიტნისათვის.“

12. 86[1] მუხლის:

ა) მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ნავსადგურის კაპიტნად შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს განათლება გემთწამყვანის სპეციალობით და 3000 ტონაზე მეტი საერთო ტევადობის გემის კაპიტნის წოდება.“

ბ) მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სანავსადგურე ერთეულს მისცეს მითითებები ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებზე;“

13. 87-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სანავსადგურე ერთეული ვალდებულია ნაოსნობის უსაფრთხოებისათვის უზრუნველყოს სანავსადგურე ერთეულსა და მის აკვატორიაში სალოცმანო სამსახურის ფუნქციონირება.

3. საზღვაო უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, დაუშვებელია, სალოცმანო სამსახური შეიქმნას სანავსადგურე ერთეულის/სანავსადგურე ერთეულის თანამშრომლის მიერ ან იყოს მასთან დაკავშირებული იურიდიული პირი.

4. სალოცმანო სამსახური შეიძლება შეიქმნას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი ფორმით. საქართველოს ყველა სანავსადგურე ერთეული ვალდებულია შესაბამის სალოცმანო სამსახურთან დადოს სათანადო ხელშეკრულება სალოცმანო მომსახურების თაობაზე. ეს ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს დებულებებს სალოცმანო მომსახურების ნავსადგურში და ნავსადგურთან მისასვლელ გზებზე განხორციელების თაობაზე, აგრეთვე სალოცმანო კატარღების ნავმისადგომზე დგომის შესახებ.“

14. 87-ე მუხლის მე-8 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. თუ სალოცმანო სამსახურის ან/და სანავსადგურე ერთეულის ბრალით, მათ შორის ხელშეკრულების არარსებობის გამო ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში შეუძლებელია სავალდებულო სალოცმანო გაცილების რაიონში სალოცმანო მომსახურების განხორციელება, სააგენტოს უფლება აქვს, დანიშნოს შესაბამისი კომპეტენტური პირი ან/და სააგენტოს მიერ სერტიფიცირებული ლოცმანი სავალდებულო სალოცმანო მომსახურების განხორციელების უზრუნველსაყოფად, რომლის ანაზღაურების წესს განსაზღვრავს სააგენტო.“

15. 106-ე მუხლის:

ა) მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თუ ქონება საზღვაო ნავსადგურის აკვატორიაშია ჩაძირული, მისი ამოღების სამუშაოების წარმოების შემთხვევაში ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გეგმა ასევე უნდა შეთანხმდეს სანავსადგურე ერთეულთან. სანავსადგურე ერთეულმა ხელი უნდა შეუწყოს ამ გეგმის ჩაძირული ქონების მფლობელის ან/და მესაკუთრის ხარჯით შესრულებას.“

ბ) მე-5, მე-6 დან მე-7 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ნავსადგურის აკვატორიაში ჩაძირული ქონების შესაბამისი სანავსადგურე ერთეულის მიერ ამოღებისას, ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული გარემოების არსებობის შემთხვევაში, აგრეთვე თუ ეს ქონება აფერხებს ნავსადგურის აკვატორიაში კომერციულ საქმიანობას ან შეიძლება შეაფერხოს ასეთი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, ჩაძირული ქონება სახელმწიფო საკუთრებაშია თუ არა, სანავსადგურე ერთეული ვალდებულია სააგენტოსთან შეთანხმებით, საკუთარი ხარჯით ამოიღოს ქონება. ამასთანავე, სანავსადგურე ერთეულს უფლება აქვს, გაწეული ხარჯის ანაზღაურება ამოღებული ქონების რეალიზაციის შედეგად მოახდინოს.

6. საქართველოს სანავსადგურე ერთეულში სატვირთო ოპერაციებისა და სანავსადგურო ინფრასტრუქტურაზე სარემონტო სამუშაოების განხორციელებისას ზღვაში შემთხვევით ჩაძირული ქონების ამოღებასა და რეალიზაციას ახორციელებს უშუალოდ სანავსადგურე ერთეული საკუთარი ხარჯით.

7. სანავსადგურე ერთეულის მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ზღვაში ჩაძირული ქონების ამოღებისას, თუ ქონების რეალიზაციის ფასი სრულად დაფარავს მისი ამოღების ხარჯებს და რეალიზაციის შედეგად თანხა დარჩება, სანავსადგურე ერთეული ვალდებულია ეს თანხა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხოს. ამ მუხლით გათვალისწინებული ქონების რეალიზაციის შემთხვევაში სანავსადგურე ერთეული ვალდებულია სააგენტოს წარუდგინოს ქონების რეალიზაციის შესახებ ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია.“

16. 108-110 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 108.

1. ზღვაში ჩაძირული ქონების მფლობელი ან/და მესაკუთრე უფლებამოსილია ამოიღოს ჩაძირული ქონება მისი ჩაძირვიდან 2 წლის ვადაში ან გამოითხოვოს ამოღებული ქონება მისი ჩაძირვიდან იმავე ვადაში. ამასთანავე, იგი ვალდებულია სააგენტოს ან სანავსადგურე ერთეულს აუნაზღაუროს ქონების ზღვაში ჩაძირვის შედეგად მიყენებული ზიანი და მისი ამოღების ხარჯები.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ შესაბამისი ქონება სახელმწიფო საკუთრება ხდება.

3. თუ სანავსადგურე ერთეულმა ან სააგენტომ ამოღებული ქონების რეალიზაცია იმის გამო განახორციელა, რომ მისი შენახვა შესაძლებელი ან/და მიზანშეწონილი არ იყო, ზღვაში ჩაძირული ქონების მფლობელს ან/და მესაკუთრეს უბრუნდება ქონების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა, იმ ხარჯებისა და ზიანის თანხის გამოკლებით, რომლებიც

საზღვაო ნავსადგურმა ან სააგენტომ გასწია/რომელიც სანავსადგურე ერთეულს ან სააგენტოს მიადგა ქონების ამოღების, შენახვისა და რეალიზაციის დროს.

4. ზღვაში ჩაძირულ ქონებაზე ან ამოღებულ ქონებაზე უარის თქმა ქონების მფლობელს ან/და მესაკუთრეს არ ათავისუფლებს სახელმწიფოსთვის ან/და სანავსადგურე ერთეულისთვის დამდგარი ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

მუხლი 109.

თუ ნავსადგურის აკვატორიაში ჩაძირული ქონება საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, ხელს უშლის უსაფრთხო ნაოსნობას ან/და შეიძლება გამოიწვიოს გარემოს დაბინძურება, ან/და ჩაძირული ქონების მფლობელს ან/და მესაკუთრეს ქონება დადგენილ ვადაში არ ამოაქვს, სანავსადგურე ერთეული ვალდებულია სააგენტოს მითითებით დაუყოვნებლივ ამოიღოს ჩაძირული ქონება, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – მიიღოს ზომები მის გასანადგურებლად ან სხვაგვარად მოსაცილებლად.

მუხლი 110.

სააგენტოს უფლება აქვს, სანავსადგურე ერთეულის შუამდგომლობის საფუძველზე ან მის გარეშე აუკრძალოს ზღვაში ჩაძირული ქონების მფლობელს ან/და მესაკუთრეს ქონების ამოღება მისი მფლობელის ან/და მესაკუთრის ან/და მის მიერ შერჩეული გემთამწე ორგანიზაციის კუთვნილი საშუალებებით, თუ ამ საშუალებებით სამუშაოთა წარმოება ან/და მათი წარმოების ტექნოლოგია საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, ხელს უშლის უსაფრთხო ნაოსნობას ან/და შეიძლება გამოიწვიოს გარემოს დაბინძურება. ამ შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია ზღვაში ჩაძირული ქონება მისი მფლობელის ან/და მესაკუთრის ხარჯით ამოიღოს ან ქონების მფლობელს ან/და მესაკუთრეს სათანადო საშუალებებისა და ტექნოლოგიის გამოყენება მოსთხოვოს.“

17. 113-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ზღვაში ჩაძირული ქონების ამოღებას ახორციელებს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს ტერიტორიულ ზღვასა და შიგა წყლებში ჩაძირული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჯართისა და ფერადი ლითონის ამოღების ლიცენზიის მფლობელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ზღვაში ჩაძირული ქონების ამოღებას ამ კოდექსის შესაბამისად სააგენტო ან სანავსადგურე ერთეული ახორციელებს.“

18. 131-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 131.

„დრო, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს გემის დატვირთვა ან გადმოტვირთვა (სტალიური დრო), განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, ასეთი შეთანხმების უქონლობისას კი – დატვირთვისა და გადმოტვირთვის სანავსადგურე ერთეულში მიღებული ნორმებით.“

19. 132-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თუ მხარეთა შორის არ არსებობს შეთანხმება, კონტრსტალიური დროის ხანგრძლივობა და გადამზიდავის მიერ გემის მოცდენის საფასურის ოდენობა, აგრეთვე ტვირთის ვადამდე დატვირთვა-გადმოტვირთვის გამო დამფრახტველის ან გამგზავნისათვის გადასახდელი ჯილდოს ოდენობა განისაზღვრება შესაბამის სანავსადგურე ერთეულში ჩვეულებრივ მიღებული ვადისა და განაკვეთების შესაბამისად.“

20. 168-ე მუხლის მე-6 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6) სანავსადგურე ერთეულში შესვლისას ან აღნიშნული სანავსადგურე ერთეულიდან გასვლისას გემს, რომელსაც 12-ზე მეტი მგზავრი გადაჰყავს, უნდა ჰქონდეს სავალდებულო დაზღვევის დამადასტურებელი მოწმობა.“

21. 299-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 299

გემის მესაკუთრე პასუხს არ აგებს ზღვის დაბინძურებით გამოწვეული ზიანისათვის, თუ დაამტკიცებს, რომ ზღვის დაბინძურება გამოიწვია:

ა) თავისი ხასიათით განსაკუთრებულმა, გადაულახავმა და გარდაუვალმა სტიქიურმა მოვლენამ;

ბ) სამხედრო მოქმედებამ, მტრულმა ქმედებამ ან სახალხო მღელვარებამ;

გ) მესამე პირმა, რომელიც მოქმედებდა ან უმოქმედოდ იყო ზიანის განზრახ მიყენების მიზნით;

დ) მაშუქ ან სხვა სანავიგაციო საშუალებათა გაუმართაობამ, რაც გამოიწვია ამ საშუალებების გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელ ხელისუფალთა დაუდევრობამ ან სხვა გაუმართლებელმა მოქმედებამ;

ე) სანავსადგურე ერთეულის მიერ ფეკალური წყლების, ნაგვისა და გარემოსათვის მავნე სხვა ნივთიერებათა მიუღებლობის შემთხვევაში ამ ნივთიერებათა ავარიულმა გადაყრამ წყალში.“

22. 320-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 320.

ბირთვულ გემს საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და სანავსადგურე ერთეულში შესვლა შეუძლია მხოლოდ საქართველოს მთავრობის ნებართვით. საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და სანავსადგურე ერთეულში ბირთვული გემის კონტროლს ახორციელებენ სააგენტო და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.“

23. 350-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სანავსადგურე ერთეულში გაწეული მომსახურების საფასურის გადახდის მოთხოვნა უტოლდება ამ მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებში აღნიშნულ მოთხოვნებს, იმის მიხედვით, თუ რომელი ქონებიდან დააკმაყოფილებენ მათ.“

24. 357-ე და 358-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 357.

საზღვაო პროტესტის შესახებ განცხადება აღრიცხვის მიზნით რეგისტრაციისთვის უნდა წარედგინოს:

ა) საქართველოს სანავსადგურე ერთეულში – სააგენტოს ნოტარიულად დამოწმებული წესით;

ბ) უცხო ქვეყნის ნავსადგურში – საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირს ან ადგილობრივ კომპეტენტურ პირს ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 358.

სანავსადგურე ერთეულში განცხადება საზღვაო პროტესტის შესახებ კეთდება სანავსადგურე ერთეულში შესვლის მომენტიდან 24 საათის განმავლობაში. თუ საზღვაო პროტესტის განცხადების აუცილებლობის გამომწვევი შემთხვევა სანავსადგურე ერთეულში მოხდა, პროტესტის განცხადება უნდა გაკეთდეს შემთხვევიდან 24 საათის განმავლობაში.“

25. 360-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 360.

საზღვაო პროტესტის განცხადებაში მოყვანილ გარემოებათა დასამტკიცებლად გემის კაპიტანი ვალდებულია სანავსადგურე ერთეულში გემის შესვლის მომენტიდან არა უგვიანეს შვიდი დღისა ან შემთხვევის მომენტიდან, თუ მას ადგილი ჰქონდა სანავსადგურე ერთეულში, განცხადებასთან ერთად ნოტარიუსს ან სხვა თანამდებობის პირს განსახილველად წარუდგინოს გემის ჟურნალი და გემის კაპიტნის მიერ დამოწმებული ამონაწერი ამ ჟურნალიდან.“

26. საქართველოს საზღვაო კოდექსის დანართი საქართველოს საზღვაო კოდექსში გამოყენებული საზღვაო ტერმინების:

ა) 28-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„28. სადისბურსმენტო ანგარიში – დოკუმენტი, რომლითაც ხდება გემთმფლობელსა და სანავსადგურე ერთეულს შორის ანგარიშსწორება.“

ბ) 39-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„39. ზღვაში ჩაძირული ქონება – ზღვაში ან ზღვის ნაპირზე აღმოჩენილი დაკარგული, უპატრონო, მიგდებული ქონება, კერძოდ, ნაპირზე გამორიყული ტვირთი, ზღვის ზედაპირზე მოტივტივე დაღუპული გემის ნამსხვრევები, გემი, ქონება, რომელიც გემით ან მისი მეშვეობით გადაიზიდებოდა, და სხვა. ზღვაში ჩაძირულ ქონებად არ მიიჩნევა ის ქონება, რომელიც საქართველოს სანავსადგურე ერთეულში სატვირთო ოპერაციებისა და სანავსადგურო ინფრასტრუქტურაზე სარემონტო სამუშაოების განხორციელებისას შემთხვევით ჩაიძირა სანავსადგურე ერთეულის აკვატორიაში.

მუხლი 2. ამ კანონის მიღებიდან 1 თვის ვადაში საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს ნავსადგურის შესასვლელი არხით სარგებლობის წესის დამტკიცება.

მუხლი 3. ამ კანონის მიღებიდან 1 თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა უზრუნველყოს შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღება.

მუხლი 4. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**